

ნახ. ჯ. ლოლუასი

№ 13 (1383) ი ვ ლ ი ს ი 1972

ნიანგი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.

— ფესანიშნავი აბაზანა მოგიწყვეთ, სხვა რაღა გინდათ?
— წყალი!

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲓᲐᲠᲘ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲐᲠᲝᲜᲘ ᲛᲘᲜᲘᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲠᲙᲝᲛᲘᲡᲚᲘᲡ ᲙᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲞᲠᲘᲜᲢᲘ)

ᲪᲘᲠᲙᲘ ᲑᲝᲠᲑ ᲚᲔᲑᲐᲨᲕᲘ

ᲨᲔᲚᲐᲕᲐᲚᲘ

...ᲗᲣᲗᲘᲛᲑ ᲨᲐᲢᲐᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲣᲠᲗ ᲙᲐᲪᲘᲠᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡᲢᲠᲣᲗ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲜᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲨᲐᲢᲐᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲠᲙᲝᲛᲘᲡᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲠᲔᲞᲠᲘᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ნახ. 8. ფერადხალვათები

— რატომ შეხრილ ამ სახლს საძირკველს?
— ამბობენ, ამის მშენებლობაში მილიონები ჩაყრილნენ!

გვიშვეული. ძმაო ჭიჭიკო...

(წერილი სოფლიდან)

ჩემი მეტრეკვა ამბავი, ვიცი, გაწუხებს, (ბიძა ხარ) არ მიზდა, ბაბა, სწავლაო, თხეთრმეტი წელი იძახა. ძალი დამეკვდა სკოლაში, მოგელო და სისხლი გამიშრო, ჭკვა არა აქვს, სიმაღლეთ — იეოცხლე, სამეკრ გამისწრო.

ორ წელს ცეკვაზე ვატარე, (ვაი, რა ჯუთხრა-ულირს ზვალს!) ცხენივით დაძენძულებიდა, თავს კი ადრიდა სუხოშვილს.

სიმღერის გუნდში დამყავდა, (თოქოს ვიპოვე კაი გზა) ხმა ამოუშვა ისეთი, გუნდიდან ყველა გიიქცა. მერე კი ჯანიც მოსინჯა, ავკაკონიკა ბრიახუნი, უცხო ენაზეც იარა, მსურდა ეხუბალა დრანგალი. დამრიგებელმა, მამაშამ: მიხდაო ძმრაკა გირჩია, ფრანგულს მოეშვით, ქართულად არ იცის ანბანიანი, მეხდეწა: კაცი გამოვალ, კრიგზე გამიშვი ოლონდაც! საკამოიანი ცხვირ-პირი რეშმიანი ბრეკალი მოაქონდა.

ერთ მასწავლებელს სკოლაში ვერ ნახავთ მისი ბაბაში კი ჰკვეს ფრიადი (ქვაში ლობი არ ყოფნის). არსად მუშაობს, ძინავს, ეკმს, ფეხბურთის თამაშობს ოდაში, თან შეჩხუბება, ახლაო სტუდენტობაა მოდაში. ნელსე მომაწყვეთ სადმეო, ვეიეკრანის თავაგდებულად, (პირველი კლასის პროგრამაც არ იცის დალაგებულად). ვიცი, ოჯახსაც გალანძღავს, (თავს მეჩრის ამბელი კაბაში), ვერ ჩაბაარეს, რომც შეხვდეს წაკითხვით „აკაკი ყარაფინ". ვეიშველ, ძმაო ტიტიკო, და გაგიბდეთო მიზეკაფ. ბავეიდით სახლ-კარს, ბალს, ეზოს, უმრავ და მოძრავ კინეზეს. აკი უტკინო ყველას ვეცეს (ოხუთმეტ კაცს ერთად ერევა), ისეც არა აქვს ჭკუა და, ვატკოს, სულ გადაკვერევა. სულ „სტუდენტობა", „ნაწყობა", ინსტიტუტები აბოდეს, არიქა. დროზე გეიშველე. რაღაცა გაკვიანდაფორთ. მაღარის ცალკე ელოდე. ახლა ბაბალთ მოგიძღვენ... ფაკულტეტს სულ არ დავეძებ, ოლონდაც სადმე მოგეწყვეთ...

ვასო ცინცაძე

ტერფი, რომელიც მღერის

(მიროსცენარი მილოგენის „რატომ კოჭლობს ძია ჯემი"-ს მოტივზე)

გრძელთმიანი სასიამოვნო ხმის გაგონებაზე „ტალუს გასაუფთავებს", რადიომიმღეს ძირს დაუშვებს და თავებმინაბული გაგრძელებს გზას. მელოტი ჰირფილიგით მიჰყვება. მას სხვებიც ბაძავენ და მალე გრძელთმიანის უკან მუსიკის მოტრფიალთა რიგი იქმიება.

საკმარისია მან ეს შენიშნოს, რომ გაბრაზებით თიშავს მიმღეს და იქვე სადარბაზოში შეუხვევს.

მაგრამ მელოდია ადგილზე რჩება! ხალხი გაოგნებული შეჰყურებს პირდამწეულ მელოტს, რომელიც გაქცევით შეელის თავს.

...მას უკვე სახლში ძინავს. მთვარის შუქზე მისი ნიწამები სახე მიცვალებულისას ჩამოგავს.

უცაბ დუმილის ფარდას ნაცნობი სასიამოვნო ხმა გახეთქს. მელოტი დაფეთებული წამოიჭრება, მომღერალ ფეხს ღრმად შემალვას საბანში. ხმა მაინც წერაალებს.

ფანჯრებიდან ნამძინარევი მეზობლები გადმოჰყოფენ თავებს, ყურნენებენ, მელოტის ოთახისკენ იშვერენ ხელებს.

ხმის პატრონი უნებლიაბ გააქნევს ფეხს, თან ზედ წყალს დაუშვებს შხეილით. სიმღერა კვლავ ზედ ეფარება, ოღონდ ოდნავ ხრიწიანი ხმით.

მაშინ მელოტი საკუშნაში გავარდება, ვედროში ჩადგამს ფეხს და ქაღალდის დიდი პარკიდან ცემენტს დაიყრის. ქალალდია ჩაიკარგება ვედროში, „ვითარცა ღაღადი უდაბნოსა შინაო".

მიწყდება მეზობლების გაკვირვები ხმებიც.

მელოტი ერთხანს საწყალდ დგას ვედროში უანჩასავით ცალფეზჩაყოფილი, მერე ვედროიან ფეხს ხტუნვით შეიტანს საწყალ ოთახში, სავარძელში ჩაესვენება და ხვრინვას ამოუშვებს.

...გათენდება თუ არა, მელოტი ექიმს მიაშურებს. ექიმი დიდხანს უტიროიანს უცნაურ პაციენტს: თვალის უკეთეში ჩახედავს, ენას გამოაყოფინებს. მუხლზე ურტყამს ჩაქუჩს და ბოლოს ხმის დამჭიმის ბაბმას მოსცემს ყურების დასაცობად.

ნახ. 9. ლოლაური

ჩიბუხი

ეკიმ ამბობს, ამბობს, ამბობს,

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ თქვენთანაც კია ასე, მაგრამ ჯერ ჩემსას გიამბობთ.

აპრილი იყო დაწყებული დირექტორის მოადგილემ რომ მიხმო და როგორც კი მისი კაბინეტის კარი შევაღე, მაშინვე მატაკა: უნდა წახვიდეთო. კინაღამ გულზე შემომეყარა: ჩემი ადგილი თუ დასჭირდათ-მეთქი, კარგს ხომ არ გაიფიქრებს იმ დროს კაცი. აკანკალებული ხმით ისღა შევბედე: საით უნდა წავიდე-მეთქი. შვებულებაშიო მითხრა და ისე გადამიბრიალა თვალები, გეგონება სისხლის სამართლის დამნაშავე ვიდექი მის წინაშე. რაღაი კი ვიგრძენი უარესი საფრთხე არ მელოდა, დავმშვიდდი. ცოტა მოსულიერებულმა შვებულებების გრაფიკის არსებობა შევახსენე გედეონოვიჩს (რა უბედურებაა, ახლაც არ ვიცი მისი სახელი. თუმცა მე კი არა, მთელი ინსტიტუტი ასე მიმართავს, მამის სახელით).

— ხვალიდან უნდა წაბრძანდეთ, ასეა საჭირო!— მომიჭრა მოკლედ.

რას ვიზამდი, მაშინვე გამოვბრუნდი. იმ დღეებში რაღაცა იღბლად, ჩვენს დაწესებულებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარქვეს. ხელფასი თითქმის გაგვიორმაგდა, რაცხა კატეგორიაც მოგვცეს, შტატებიც გაჩნდა და დამატებით დირექტორის ოთხი მოადგილეც.

ქე მოვეწყვეთ კარგად.

მას შემდეგ, რაც სამეცნიერო-კვლევითი დაგვარქვეს, ჩვენი დირექტორი მთლად გაიღინძა და სამსახურში თორმეტ საათზე ადრე აღარ მოსულა. მისი მდივანი მომსვლელს თუ წამსვლელს მთელი დღე დაზეპირებულს უმეორებდა: სევასტიანოვიჩი აკადემიაში წაბრძანდა, სასწრაფოდ გამოუძახეს ხელმძღვანელ ორგანოებში, თათბირზეა, იქიდან იქ უნდა გაეარა და რა ვიცი...

სხვათა შორის ერთი-ორმა ქე მოინდომა ჩვენი დირექტორის გამომზეურება, მარა ვერაფერი ვერ გააწყეს. ზოგიერთს ინფარქტიც დაემართა, ხოლო ორი მათგანი გადაყვა კიდეც ამ ამბებს.

არა, მართლა, კაცმა რომ თქვას, ცოტა უცნაური დირექტორი კი გვყავს. რად უნდა მოადგილედ მშენებლობის დარგში ფილოლოგი? თუმცა, მეორე კაცმა რომ თქვას, ან ფილოლოგი რას აშავებს? ეს ინსტიტუტი არც აშენებდა არაფერს, არც აპირებდა აშენებას; რემონტზე ფიქრს კი ვინაა ახლა რომ გაბედავს!

შვებულებაზე გიყვებოდით. გასულ წელსაც მარტში და აპრილში გამიშვეს შვებულებაში, თანაც ერთი თვე უჯამაგირო მომაყოლეს. წასვლა ვერსად ვერ მოვახერხე, ცოლსა და სიდედრს მთელი დღე ფეხებში ვედებოდი. ისე შეავჯავრე თავი, კინაღამ გაყრაზე მიდგა საქმე.

ახლაც სექტემბრისთვის დაპირებული საგზურები თითქმის ხელში მიჭირავს და გინდა თუ არა ხვალიდან წადიო. საქმეა ეს!

სახლში მაინც მხიარული კაცის გამომეტყველებით შევედი. ცოლმა ეჭვიანად გადმომხედა — რაცხა შენი ფერი არ მომწონსო. სამსახურშიც შემამჩნიეს-მეთქი, მის ეჭვიან მზერას რავარც იქნა გავუძელი. მაგით რა გინდა თქვაო. რა და, ხვალიდან შვებულებაში მივდივართ-მეთქი, მრავლობით რიცხვში აღვნიშნე რატომღაც. როგორ მივდივართო, იკივლა უცბად და თან ისეთი წყევლა მიაყოლა, ზოგიერთ სიტყვებში ვერც კი გავერკვიე. ქალო, რა დაგიშავე, რას მწყევლი-მეთქი, რომ ვუთხარი, უფრო აუწია ხმას: დაბალი ღობე გნახეს და ამიტომ ხდება ხომ ასეო. შეპასუხება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

სადილი ისე გავათავე, ხმა არ ამომიღია. სათვალე მოვძებნე და გაზეთით ხელში სავარძელში მოვკალათდი. უკვე კარგა მოგვიანებით, ჩემი ცოლი რომ დაიღალა ბუზღუნით, რავარც იქნა გადავწყვიტეთ ზღვაზე წავსულიყავით „ველურად".

მორიდებით შევაღე ბუღალტრის კარი და მასპინძელს მივმართე დღეიდან შვებულებაში მივდივარ-მეთქი. ჩემს დანახვაზე სახე დაუმქავდა, მე არ გიჭერთ, მიბრძანდითო. ჯამაგირი მინდა ავიღო და იმაზე შეგაწუხეთ-მეოქი. საბუთები თუ გაქვთ წესრიგშიო? მისმა ოფიციალურმა ტონმა დამაბნია.

— ბრძანების ამონაწერი კადრებიდან, ცნობები საპროექტო კაბინეტიდან და სამკითხველოდან, თქვენი პირადი განყოფილების უფროსისა და დამლაგებლის ვიზა... — ჩამოღერღა დიაკვანივით. დამლაგებლის ვიზა თუ იყო საჭირო, ამას რაღას ვიფიქრებდი. შემამჩნია რასაც ვფიქრობდი და თავმომწონედ განმიმარტა :ეს ჩემი პირადი სიახლეა, ამ წელს შემოვიღეო: მაგიდა, სკამი, კარადა, სამელნე და სხვა რაც თქვენ გაბარიათ, ადგილზე უნდა იყოს და სრულ წესრიგში, ყოლიფერს დამლაგებელს ჩააბარებთ და ვიზასაც მიიღებოო. ორიგინალური აზრია-მეთქი ვუთხარი და კარი ფრთხილად მოვიხურე.

მთელი დღე ჩემი სამსახურის ხუთსართულიან შენობას ზევით-ქვევით ვუარე და, თქვენ წარმოიდგინეთ, სადამოსთვის თითქმის ყველა საბუთი გავამზადე. სამუშაო დღის დამთავრებამდე ერთი საათი რჩებოდა. ის იყო გავიფიქრე, ცოტას დავისვენებ და ჩვენი დამლაგებელი ოლღაც მოვა-მეთქი, რომ კარადის თავზე დაგროვებულ, მტვრით სავსე წიგნებსა და ქაღალდებს მოვკარი თვალი. საჩქაროდ ვიშოვე ტილო და თვითმომსახურების თვალსაზრისით მართლა კარგი საქმე გავაკეთე. ის იყო „უბორკა" დავამთავრე, რომ ქალბატონი ოლღაც შემობრძანდა. ოლღა ბიცოლა, ვიზა მინდა-მეთქი. ეგეთ ვინმეს არ ვიცნობ და კიდეც რომ ვიცნობდე მაგისთანა საქმეებში ხელს არ შეგიწყობო.

— ოლღა ბიცოლა, რასა ბრძანებთ, ვიზა იმას ნიშნავს, მაგიდას, სკამსა და კარადას სრულ წესრიგში გაბარებთ და ხელი უნდა მომიწეროთ. — შევეკამათეთ. ვედრე დამლაგებელს. სულ დამავიწყდა ამ ჩვენი ბუღალტრის ოინებიო, ჩაიბურტყუნა მან, მერე ნამუშევარი შემიმოწმა, მომიწონა და ჩემი განცხადების ბოლოში იმფერი ოთხი ჯვარი დასვა, ტანში გამაყრეოლა.

სახლში, ცოტა დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი დავბრუნდი. ხუმრობა ხომ არ იყო, რამდენი საქმე მოვასწარი ერთ დღეში.

გულზე ხელი დაიდეთ — თქვენთან თუა ასე?

ნ. ოთარაშვილი

— რა უქნი პატივცემულ ლექტორს, შე მხეცო!
— ეარაფერი, ბატონო, პროგრამა-კითხვა გაუთვალისწინებელი მოგცა და მეც პროგრამით გაუთვალისწინებელი პასუხი გავეცი!



ნახ. დ. გაფელეიშვილისა.



ნახ. მ. აბაშიძისა

— რა წესია ჩვენი მაღაზიის გამყიდველებს მაგიდის ქვეშ რომ ქეიფობენ?
— დახლქვეშ არიან მიჩვეული ვაჭრობას და ჩვეულებად ეჩცათ.

უსიტყვოდ

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის

„კაპკანი“ (სკკპ ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტის ორგანო)

ძვირფასო მეგობრებო! „დიდი მადლობა“ (გვწერენ ქართულად) ან ჩვენებური ჩუვაშური „ტავტაპუს“ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ სატირულ-იუმორისტულ ესტაფეტაში მიწვევისათვის.

დიდი სიამოვნებით ვაგზავნით ამანათს ჩებოქსარიდან.

პატივისცემით ჟურნალ „კაპკანის“
ლიტერატურის განყოფილების გამგე
ვ. გრიგორიევ-ენეში

გადაამლაშეს

სადილზე, როგორც წესი, სახლში მივდივარ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სასადილო აგერ გვერდზეა. რა ვქნა, ვერ შევეჩვიე ამ სასადილოს. ხმაური, ყვირილი, ხალხი ერთმანეთში ირევა, ადგილს ვერ იშოვი. მოკლედ, გადავწყვიტე, რომ ისევ სახლში წასვლა ჯობია. ჰოდა, წავედი კიდეც.

მაშინვე დაფაცურდა ცოლი, გამიწყო მაგიდა და ღიმილით მითხრა:

— მიირთვი, გენაცვალე, ჩვენ ნუ დაგველოდები. შენ ხომ სამსახურში გაგვიანდება!

ცხადია, შინაური დაგინდობს. მართლაც, ჩვენთან დაგვიანებაზე ერთი ამბავია. მესიამოვნა ოჯახური იდილია და კმაყოფილი სახით ბულიონის ერთი კოვზი პირთან მივიტანე. ყლუპ და... უცბად კრიჭა შემეკრა, მეორე კოვზზე თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა და სლოკინი ამიტყდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ნამეტანი ბევრი მარილი გიქნიათ!

ცოლი მაშინვე გაიბუტა.

— შენ ყოველთვის ეძებ რაღაც მიზეზს, ან ბევრი მარილი აქვს, ან ცოტა, ან ძალიან მსუქანია კერძი, ან მთლად წყალ-წყალა... იცი რას გეტყვი, შენ თვითონ მოხარშე ხოლმე სადილები, ანდა მიბრძანდი სასადილოში, — რახან დაიწყო, აღარ გაათავა, — მართალი თუ გინდა იცოდე, მე მეგონა იტყოდი, რომ კერძი უმარილოა. სულ რაღაც ერთი კოვზი მარილი ჩავყარე ქვაბში.

თავბედი ვიწყევლე რამ მათქმევინა საყვედურიმეთქი, ერთი ამბავი დამაწია ცოლმა. ისე მიყვირა, რომ უცბად გაუჩნდა მაშველი ძალა — სიდედრი შემოვარდა.

— რატომ სცემ ჩემს ქალიშვილს! — მეცა იგი ყელში.

— როგორ გეკადრებათ, უბრალოდ ვუთხარი, რომ ბულიონი მარილიანია, — მოვასწარი თქმა.

— გრცხვენოდეს! — სინანულით მითხრა სიდედრმა, — კაცები საერთოდ არ აფასებთ ქალის შრომას. საიდან მოიგონე ასეთი სისულელე. არაფრით არ შეიძლება ბულიონი მარილიანი იყოს, მე თვითონ სულ რაღაც ერთი კოვზი მარილი ვუქენი. ბატონო ჩემო, თუ თქვენ სამსახურში რაიმე უსიამოვნება გაქვთ, ჩვენ რას გვერჩით! — იკივლა მან და ისე გამოიხურა კარები, რომ მთელი სახლი აცახცახდა.

— რომელმა ბზიკმა გიკბინათ დღეს, ეს რა ხელჩართული ომია აქ? — შემოვიდა ახალი ცვლა ქანით, — ყვირით, კარებს ამტვრევთ, ილანძღებით... — ეს იყო ბებია.

— არაფერი, ბაბო, ისეთი არაფერი მომხდარა, — ვუპასუხე მე. — ბულიონი გადაუმლაშებიათ. ეს არის და ეს.

— ნუ პრუტუნებ რაღაცას, — იფეთქა ბებიამაც, — სულ ტყუილად ხარ შარზე, ჩემო ნიკოლა, ცოდვას ნუ იდებ კისერზე, მშვენიერი ბულიონია და არც ისე მარილიანი, მე თვითონ ვუქენი ერთი კოვზი მარილი.

ყველა ნაწყენი გავიდა ოთახიდან. მერე მე თვითონ დავუძახე უმცროს დას და ვკითხე ვინ გაკეთა დღეს სადილი.

— ვინ დაიწყო, არ მახსოვს, მაგრამ მარილი მე ჩავაყარე. რა იყო, ალბათ ცოტაა და დაიწუნე. — გულუბრყვილოდ იკითხა მან.

შემდეგ ოთახში სათითაოდ შემოვიდნენ ცოლი, სიდედრი, ბებია და საყვედურით მითხრეს: შენ დღეს ძალიან გადაამლაშეო.

ვიტალი გრიგორიევ-ენეში

ნახ. ნ. იაკოვლევისა.

— ასეთი რამ ჯერ არავის მოსვლია თავში აჯრად, მე სკამს მეხუთე ფეხი მივუმატე.

— ორიგინალურია, ასეთი რამ მართლაც არავის მოუვა თავში აჯრად.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე, (პ/მ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. დუმბაძე, (მთავარი რედაქტორი), ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.), ნ. ფალავანდი, ო. ჯელიძე. ● სტირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ ● ტელეფონები: რედაქტორი 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. 93-10-78. ● ასაწყობად 7/VI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII-72 წ. ● ქაღალდის ზომა 70x108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. ● ტირაჟი 130.000 ● ТБИЛИСИ САТИРИКО-ЮМОРИСТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «НИАНГИ». ● ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. ● ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორის მოადგილე ნ. ფალავანდი

541 79 16.VIII

ნახ. ჯ. ლოლუასი

72-541/7
1972

Индекс 76137



ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბავარიის პარტიის კერპი დასავლეთგერმანელი ულტრა-შტრაუსისა და კომპანიისათვის სსრ კავშირ—გფრ-ს ხელშეკრულებათა რატიფიკაცია სერიოზული დამარცხება იყო.

ამ კავშირის მიუნხენის ამასწინანდელ ყრილობაზე შტრაუსმა არ უღალატა თავის რეაქციონულ ბუნებას და კვლავ გამოაქვეყნა მილიტარიზმის, რევანშიზმის მხარდაჭერის პროგრამა.

დასავლეთგერმანელი შტრაუსის ვალი